№ 136

კვირა, 24 ივნისი, 1901 წ.

1877—1901

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227.

საქართველოს ... ტფილისი ... ბიბლიოთეკა

№ 136

კვირა, 24 ივნისი, 1901

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.



## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელიწადი მეოთე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენის.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და მწიგნობრობა (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილის. (24—133—4)



„ივერიის" რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოეშალოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.



## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**გ. ი. შიშინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მუღდისი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ა. მ. მატინოვი**—თვალის 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. გ. ფედოროვი**. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

**გ. დ. მარკევიჩი**—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**ბ. გ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ვ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**გ. ი. გოგლიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

**გ. ა. თარხნიშვილი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ი. ტ. არგანიცკი.** 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასხურს", ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.



## ახალი ამბავი

—

*** ამ 1901 წ. 21 ივნისს დანიშნული იყო საჯარო გასასყიდად ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის მიერ იგი ტფილისის მამულები, რომელთა პატრონებმაც ბანკში ვადის შესატანი ფული არ შეიტანეს. ამისთანა მამული იყო სულ ოც-და-ერთი. ამათგან გაიყიდა თექვსმეტი მამული, რომელთზედაც თავნი ვალი ირიცხებოდა 77091 მანეთი და 22 კაპ. და რომელნიც გაყიდულ იქმნენ 114,321 მანეთად. ხუთის დანარჩენის მამულის გასყიდვა გადიდვა მეორე ვადისათვის, სახელდობრ 12 ივლისისათვის.

*** ამავე 1901 წ. 23 ივნისს, დანიშნული იყო საჯარო გასასყიდად ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის მიერ სხვა ქალაქის მამულები, ტფილისის გარდა, რომელთ პატრონებმაც ვადის შესატანი ფული არ შეიტანეს ბანკში. ამისთანა მამული იყო სულ თოთხმეტი. ამათგან გაიყიდა ცხრა მამული, რომელზედაც თავნი ვალი ირიცხებოდა 62,445 მ. 9 კაპ. და რომელნიც გაყიდულ იქმნენ 94199 მან. 30 კაპ. და ხუთის მამულის გაყიდვა გადიდვა მეორე ვადისათვის, სახელდობრ 12 ივლისისათვის.

*** პარასკევს, 22 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის გამგეობის დარბაზში ქალაქის გამგეობისა და საბჭოს კომისიის შეერთებული სხდომა მოხდა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ აგრეთვე ქალაქის ინჟინერი, ტეხნიკოსები და სხვა სპეციალისტები; სხდომას განსახილველად დანიშნული ჰქონდა ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის საქმე. სხდომამ, მოისმინა-რა მთელი ამ საქმის შესახები მასალა, სხვათა შორის, დაადგინა: ამორჩეულ იქმნეს მცირე კომისია და დაევალოს შეიმუშაოს, თუ როგორის სისტემით იქნეს ქალაქის ქუჩები მოკირწყლული, აგრეთვე აღნიშნოს ყველა ის ქუჩები, სადაც ქვაფენილების გაფართოება და უფრო უკეთ შეკეთება მცხოვრებთა ხარჯით შესაძლებელი იქნება და აგრეთვე შეიმუშაოს პროექტი მოკირწყვლის ტეხნიკურ ნაწილისა. როდესაც კომისია ამ საკითხების შესახებ თვისს მოხსენებას წარუდგენს სხდომას განსახილველად, მაშინ მოხსენებისა მიხედვით მიენდოს ქალაქის ინჟინერს შეადგინოს დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა ქუჩების მოსაკირწყლავ საჭირო ფულებისა; მცირე კომისიას ყველა საჭირო მასალების შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს, რომ ქალაქს ქუჩების მოსაკირწყლავად ექნება 600,000 მანეთი და მოხსენების შედგენის დროს ამის მიხედვით დაიჭიროს ანგარიში. მცირე კომისიის თავმჯდომარეთ იქმნება გამგეობის წევრი თავ. ჩერქეზიშვილი. სხდომაზედ, სხვათა შორის, ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ქალაქის ტრამვაის მოკირწყვლის საქმეს ეხლავე შეუდგნენ, თუ, როცა ელექტრონის ტრამვაის პროექტი წარმოდგენილი იქმნება, ამ საკითხის საბოლოოდ განხილვა სხდომამ 27 ივნისისათვის გადასდო და მაშინ მოწვეულ იქმნებიან ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორები ბ-ნი რიდზინსკი და ბლანშე, რომლებთანაც ერთად უნდა განიხილონ ეს საკითხი.

*** რედაქციამ მიიღო ანგარიში მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენის დამაარსებელ შემნახველ საზოგადოებისა. როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, ახალშენში 1901 წლის პირველ იანვრისათვის ყოფილა სულ 47 მცირე წლოვანი დამნაშავე, საანგარიშო წელს მიუღიათ 24 ახალი ბავშვი, გასულა 12. ახალშენში სხვა-და-სხვა ხელობას ასწავლიან. საანგარიშო წელს, სხვათა შორის, მეჩექმეობას სწავლობდა 15 ბავშვი, მებაღეობას—21, დურგლობას—10 და სხვა. ამ წელს საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 25 ათას მანეთამდე და ხარჯიც ამდენივე.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზამ დაამთავრა მეორე ლიანდაგი ბაქოსა და სურახანს შორის. 24 ივნისიდგან მატარებლების მიმოსვლის ძველი დრო გაუქმდება და ახალ დროს შემოიღებენ.

*** სამშაბათს, 26 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში ქართველთა სესხ-მიცემო ამხანაგობის „შუამავლის" წევრთა წლიური კრება მოხდება სხვა-და-სხვა საგნების განსახილველად. კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, რადგანაც წარსულ მაისის 20 დანიშნული ამნაირივე კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

*** როგორც შევიტყეთ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ყოფილი ყოვლად სამღვდელო გრიგოლი გელათის ღვთის-მშობლის მონასტერში გადმოუყვანიათ წინამძღვრად.

*** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეიძინა გრაფოფონი (სიმღერების გადმომღები მანქანა) და მიანდო ბ-ნ ზ. პ. ფალიაშვილს ქართულ სახალხო სიმღერების გადაღება. ამ აზრით ბ-ნი ფალიაშვილი ამ თვის დამლევს კახეთში მიემგზავრება, შემდეგ გურიას შემოივლის ადგილობრივ სახალხო სიმღერების გადასაღებად და ჩასაწერად.

*** აქამდის ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა შორის სატელეგრაფო საქმის ცოდნა მოეთხოვებოდა ბარგის მწონავებსა და დამწყობებსაც. ამ ჟამად გზათა გამგეობამ განუმარტა რკინის გზის უფროსებს, რომ მწონავნი და დამწყობნი შეიძლება განთავისუფლებულ იქმნან სატელეგრაფო საქმის სავალდებულო ცოდნისაგანაო.

*** როგორც გაზ. „არგონ."-ს პეტერბურგიდგან დეპეშით აცნობენ, სახელმწიფო საბჭოს საბოლოოდ გადაუწყვეტია ხაშურიდგან ბაქომდე გაიყვანოს ნავთის მილი. როგორც ვიწყით, ბათუმიდგან ხაშურამდე უკვე დაამთავრეს მილის გაყვანა. ხაშურიდგან ალ-ტალღამდის ნავთის მილის გასაყვანად გადადებულ 4,700,000 მანეთის გარდა გადადებულ იქმნა კიდევ 12,000,000 მან. ალ-ტალღიდგან „ვოლჩი ვოროტამდის" და 775,000 მან. „ვოლჩი-ვოროტიდგან ბაქომდის გასაყვანად. ამ მილის გაყვანა უნდა დაამთავრონ 1904 წელსა.

*** როგორც „ახ. მიმ."-ს ქუთაისიდგან სწერენ, ბერლინის სინდიკატთან შეერთების სურვილი გამოუცხადებია 200 შავის-ქვის მწარმოებელს. ამ ჟამად სინდიკატის წარმომადგენელნი პირობასა სდებენ ზემოხსენებულ შავის-ქვის მწარმოებლებთან.

*** საგუბერნიო მთავრობამ დაავალა ტფილისის ქალაქის მოურავს, მალე წარუდგინოს დასამტკიცებლად ქალაქს მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

*** ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრად ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ იქმნა ი. ა. ივანოვი. („ახ. მიმ.")

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტის სესსია გუშინ-წინ გაემგზავრა ქუთაისის გუბერნიაში, სადაც იგი განიხილავს საქმეს ლეჩხუმის მაზრის უფროსად ნამყოფის ალშიბაიასას, რომელსაც სხვა-და-სხვა დროს სახელმწიფო თუ საზოგადო ფულის მითვისება-გაფლანგვა ჰბრალდება. ამ საქმისათვის დაბარებულია 90 მოწამე.

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებელს მომავალ 1902 წლის განმავლობაში დასჭირდება ხარჯთ-აღრიცხვით სულ 33912 მანეთი.

*** ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიამ გარდასწყვიტა დიდუბის ქალაქის სკოლა გადაიტანოს ახალს სადგომში პროექტიროვანის ქუჩაზედ, ნოვაკანტის სახლში.

** პოლიციის მეათე ნაწილში ხუთშაბათს, 21 ივნისს, შემდეგი ამბავი მოხდა: რკინის გზის მემანქანეს თანაშემწეს ანტონ ოსიპის ძე სამსონოვიჩს რაღაც ეჭვის გამო თავის ბინაზედ, ანდრეევის ქუჩაზედ, რევოლვერი უსროლია ანნა დიაკოვისათვის და თავში დაუჭრია; შემდეგ, შეუტყვია-რა, რომ დიაკოვისა ამ ჭრილობით მოკვდებოდა, ესროლია რევოლვერი და თავისათვისაც უსროლია, შემდეგ მკრატლით ყელი გამოუღადრავს. დაჭრილი პოლიციას მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნია. დიაკოვისა და სამსონოვიჩი ისე მძიმედ არიან დაჭრილნი, რომ სათუოა მათი გადარჩენა.

** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოს ეკკლესიის სამზრუნველოს პირობით შეეკრა, რომლის ძალითაც სამზრუნველომ სამ-სამ მანეთად უნდა დაუთმოს თითო სასაფლავის ადგილი გარდაცვალებულ რკინის გზის მოსამსახურეთა დასასაფლავებლად.

** ქალაქის გამგეობას დაუდგენია შესწყვიტოს საბჭოს სხდომები და წინანდელ სხდომიდგან დარჩენილი საქმეების განხილვა შემოდგომისათვის გადასდოს. ამ მიმდინარე წელს მოხდა სულ 43 სხდომა.

## კავკასიის მომავალი გამოფენა.

ამ დღეებში ტფილისის ხელოსანთა გამგეობამ მიჰმართა კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტს და სთხოვა შემწეობა აღმოუჩინოს ტფილისის ხელოსნებს და უფასოდ დაუთმოს ადგილი კავკასიის გამოფენაზედ ექსპონატებისათვის, რადგანაც ხელოსანთ არ შეუძლიანთ ხუთ-ხუთი მანეთი გადაიხადონ თითო ოთხ-კუთხ არშინ ადგილში. თუ კომიტეტმა შესაძლოდ დაინახა ხელოსანთა თხოვნის შესრულება, ბევრი ხელოსანი მიიღებს მონაწილეობას.

—

კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტმა უკვე მიიღო ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან ის 1000 მ., რომელიც წელს თავად-აზნაურთა რწმუნებულთა კრებამ გადასდო გამოფენის გასამართავად.

—

21 ივნისს საქონლის მოშენების განყოფილების გამგეთ მიერ განხილულ იქმნა კავკასიის საბეითალო ნაწილის გამგის ბ-ნ რემერის მოხსენება. რემერის აზრით, მომავალ გამოფენაზედ საქონლის მორეკა შეუძლებელია საქონლის ჭირის გავრცელებისა გამო. კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს გამოფენაზედ რქიან საქონლის მორეკის ნება-რთვის შესახებ იმ პირობით, რომ საკარანტინო წეს-რიგი იქმნება შემოღებული.

—

კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის კომისარს ბ-ნმა ი. კარგარეთელმა და ა. კავსაძემ თხოვნა მიართვეს, რომ ნება მიეცეთ მათ მომავალს კავკასიის გამოფენაზედ სახალხო სიმღერების საქმე მოაწყონ. კამისარმა წინადადება მისცა ამის შესახებ წარუდგინონ პროგრამა და თხოვნა. თხოვნას განიხილავს გამოფენის ის კომისია, რომელსაც გამოფენაზედ გასამართ სახალხო გასართობების წეს-რიგის შემუშავება აქვს მინდობილი.

—

გამოფენის გამგე-კომიტეტმა ამ დღეებში ერევნის გუბერნატორს 100 მან. გაუგზავნა, რომ ამ ფულით ექსპონატები იქმნეს შეკრებილი და ტფილისში ჩამოტანილი.

—

ქუთაისის გუბერნიის სოფ. დიდიჯიხაიშის ნორმალურ სკოლის გამგე სთხოვს გამოფენის გამგე-კომიტეტს, რომ ადგილი სკოლის ექსპონატების მოსათავსებლად 3 ოთხ. კუთხი არშინი დაუთმოს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ხევი** (საქართ. სამხ. გზა). 28 წარსულს მაისს სოფ. სტეფანწმინდაში „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ სახელზედ გახსნილი სკოლის მოწაფეების გამოცდა იყო დანიშნული. გამომცდელს კომისიას თავმჯდომარეობდა კავკავის რეალურ სასწავლებლისა და დედათა გიმნაზიის მასწავლებელი პართენ ალექსანდრეს ძე გოთუა, ხოლო წევრებათ გამომცდელის კომისიისა ბრძანდებოდნენ: ამავე სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებელი ბლაღ. მღ. მ. ნიკიფორე კანდელაკი, კავკავის ქართველთა ეკკლესიის მღ. მ. გიორგი ნათაძე, სტეფანწმინდის სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე იერემიას ძე კვაჭაძე, კავკავის სკოლის მასწავლებელი ნიკოლოზ სვიმონის ძე ყურდღელაშვილი და სნოს სკოლის მასწავლებელი ერმალოზ ივანეს ძე სირბილაძე. გამოცდა მოწაფეებისა სკოლისავე დარბაზში მოხდა, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე ზოგიერთი მშობლები ბავშვებისა. კომისიის ყველა წევრთაგანი თავ-თავისათვის ეკითხებოდა ყმაწვილებს. გამოცდამ თითქმის ნაშუადღევის 4 საათამდე გასტანა და სასიამოვნოდ დაგვრჩათ, რომ ბავშვები, რომლებმაც სკოლაში შესვლამდე არა თუ წიგნისა არა იცოდნენ-რა, პირჯვრის წერაც-კი არ ეხერხებოდათ, ასრე მშვენივრად უგებდნენ პასუხს რუსულ-ქართულ ენებზედ. დიდად ნასიამოვნები დარჩნენ წევრნი გამომცდელ კომმისიისანი აგრეთვე იმისი, რომ ყმაწვილები დაუბრკოლებლივ უხსნიდნენ იმ საგნებსაც-კი, რომლებიც პროგრამას არ შეეხებოდნენ. გამოცდის შემდეგ პირველის განყოფილების მოწაფეებს კარგის სწავლისათვის საჩუქრად წიგნები დაურიგდათ და ორმოცამდე მოწაფეში ორის მეტს დაბრკოლება არ აღმოუჩნდა, რომ მეორე განყოფილებაში გადაეყვანათ. მეორე განყოფილების ბავშვებიდგან საკმაო რიცხვი არ დაესწრო გამოცდასა, რადგანაც, სამწუხაროდ, მშობლებს გამოცდამდის სხვა-და-სხვა საქმეებისათვის გაეგზავნათ აქეთ-იქით. ამის გამო გამომცდელმა კომისიამ და მოწაფეების მშობლებმა ბ-ნს მასწავლებელს ამა სკოლისას კვაჭაძეს მადლობა გადაუხადეს.

მეორე დღეს, 29 მაისს, აღნიშნული კომისია სოფელ სნოსაკენ გაემგზავრა, რომელიც უაზნეკიდგან მე-6 ვერსზედ მდებარეობს, რომ იქაურს სკოლაში მოწაფეები გამოეცადნათ. სნოს სკოლა შარშან გაიხსნა, რომლის მასწავლებლადაც დაინიშნა ერმალოზ ივანეს ძე სირბილაძე. სამწუხაროდ, მე სნოს მოწაფეების გამოცდას ვერ დავესწარი, რადგანაც გარემოებამ ნება არ მომცა, მაგრამ სარწმუნო წყაროდგან ვიცით, რომ სნოს სკოლის ბავშვებსაც არა ნაკლები მომზადება და ნიჭი გამოუჩენიათ გამოცდის დროს. ყოველს შემთხვევაში, გაბედვით შეიძლება ვთქვათ, რომ მთის ჭერზედ გაზრდილს ნორჩს ყმაწვილებს მახვილ-გონიერება საკმაოდ შესწევს და სწავლის დროს მეტს ნიჭს იჩენენ. დასასრულ, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ამ 8—9 წლის წინად არც ერთი სკოლა არ მოგვეპოვებოდა მოხევეებსა და სკოლის გახსნაში დიდს წინააღმდეგობას უწევდა ხალხი მოთავეებს და ეხლა-კი სტეფან-წმინდის სკოლას მოჰყვა სნოს სკოლის გახსნა და მალე სიონშიაც სკოლა ექმნებათ, რადგანაც საზოგადოებამ უკვე განაჩენი დაადგინა, რომლითაც კომლზედ ოთხ-ოთხი მანეთი ხარჯი გაიწერეს და გარდასწყვიტეს სიონში სკოლის შენობა აგონ. ამაზედ საქართველოს საეპარქიო ინსპექტორმა ბ-ნმა შამინაშვილმა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ წინაშე შუამდგომლობა აღუთქვა, რომ თავისს მხრივ საზოგადოებამ მასწავლებელი დაუნიშნოს, როგორც სტეფანწმინდისა და სნოს სკოლებს დაუნიშნა. სნოველებმა-კი ახლა მეორე განაჩენიც დაადგინეს, რომ თავისი ერთ-კლასიანი სკოლა ორ-კლასიანათ გადააკეთონ. გარდა ამისა, გვაქვს აგრეთვე უაზნეკში სკოლასთან წიგნთსაცავი, რომლის სახელობაზედ 3 ქართული გამოცემა მოდის და ორიც რუსული ჟურ-ჟურნალით. გვაქვს ამასთანავე ბუნდოვანი სურათების მაჩვენებელი ფარანი და ეხლა მ. ბლაღ. კანდელაკი აპირებს შუქთესის ფარნის შეძენასა და ხევში საერთო სამკითხველოს გახსნასა.

ორიოდე სიტყვა განზრახულ სამკითხველოს შესახებაც. ამას წინად ბ-ნმა მაზრის უფროსმა და ბოქაულმა საერთო ყრილობაზედ შემდეგი სასიამოვნო ამბავი გამოგვიცხადეს: რადგანაც ხევის მკვიდრნი სამაზრო ქალაქს დუშეთს დაშორებულნი ხართ და საშუალება არა გაქვთ ავადმყოფობის დროს სამკურნალოსა და მკურნალს მიჰმართოთ, თანაც სნეული კავკავში მიგყავთ და იქ მეტი ხარჯი მოგდით, ან და სრულად შეუძლებლობისა გამო ვერ მიგყავთ, გირჩევნიათ აქვე სიონში, (რადგანაც იგი შუა ადგილია) დაიარსოთ საკუთარი სამკურნალო. ამისათვის თქვენ კომლზედ მხოლოდ 1 მან. და 60 კ. გამოდება დაგჭირდებათ და ამ ფულით ერთი ფერშალი და ერთი ბებია გეყოლებათ და გექმნებათ 4 ავადმყოფის საწოლით; ამასთანავე წამალი სამკურნალოდგან უფასოდ მოგეცემათო. თან დასძინეს: მართალია, ახალის სამმართველოებისა და მოხელეების ჯამაგირების დანიშვნით კომლზედ ორი მანეთი და ორი აბაზი ხარჯი მოგემატათ, მაგრამ დანარჩენი ხარჯები-კი, მაგალითად, ბლანკის ფული, ცხენის გზაზედ გატარებისათვის გარდასახადი სრულიად გეპატიათო; ახლა კიდევ ვიშუამდგომლებ მთავრობასთან, რომ, რადგანაც მოუსავლობისა გამო ხალხი სულ კავკავიდგან ეზიდება პურსა, სამინაო პურით დატვირთულს ურემზედაც ხარჯი არ გადაგხდეთო. მომეტებულმა ნაწილმა ხალხისამ სამკურნალო სახლის დაარსებაზედ უარი განაცხადა: არ შეგვიძლიან სიბეჩავის გამო 1 მან. 60 კაპ. გავიღოთო, მაგრამ ხელ-ახლად განმარტებისა და რჩევის შემდეგ ხალხმა თანხმობა განაცხადა და განაჩენის დადგენა აღუთქვეს. საზოგადოდ უმკურნალობა-უწამლობით ჩვენი ხალხი დიდს გაჭირვებას ითმენს. ბევრი ეთხოვება სიცოცხლეს უდროოთ და მრავალი ახალგაზრდა დედა ეთხოვება მშობიარობის დროს წუთის-სოფელს და ქმარ-შვილს უმეცარის ბებიების ხელში. მაგრამ ჩვენი ხალხი ამ უმეცრებასა და ნაკლს სულ ღმერთს აბრალებს: ღმერთის ნება იყო, ეწერა და აგრე მოხდაო! და ის-კი ავიწყდებათ, რომ „გაფრთხილებულს ღმერთიც უფრთხილდება“. თუმცა უნდა მართალი ითქვას, რა ჰქმნას საწყალმა ხალხმა, როცა შეძლება ნებას არ აძლევს?

აქეთ ამ ჟამად სასიამოვნო ამინდებია; მაისის დამლევს გათავდა ხვნა და მოჰყვა ზედ მშვენიერი წვიმები; ცხვარიც ყველას მშვიდობით და კარგად მოუვიდა, კარგი მატყლი მოჰყვა. ხალხი პარსვას მორჩა. ფასი მატყლისა 3 მანეთიდგან 3 მ. 80 კაპიკამდეა ფუთი და წონითაც, როგორც ჩარჩებსა ჰსურთ, ისე იწონამენ. ამ ბოლოს დროს საძოვარი მთები დაძვირდა.

კალმის-წვერა

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რუსულ ჟურნალ-გაზეთების მთავარ სალაპარაკოს დღეს მთავრობის მიერ განზრახული სასკოლო რეფორმა შეადგენს. სხვათა შორის გაზეთებმა იმის შესახებაც ასტეხეს ლაპარაკი, რომ ქალებს ვაჟებთან ერთად უნივერსიტეტში შესვლის უფლება მიენიჭოთ. „Россія“ ამის გამო სწერს, რომ ამ საქმის განხორციელება ჯერ ისევ ამ ორმოცის წლის წინად განიზრახესო, 1863 წლის საუნივერსიტეტო წესდების შემუშავების დროს უნივერსიტეტებს დაავალათ, სხვათა შორის, თავიანთის აზრის გამოთქმა ქალების უნივერსიტეტში მიღების შესახებაც. ორის გარდა (მოსკოვისა და დორპატისა) სხვა უნივერსიტეტები სიამოვნებით მიეგებებიან ამას. გაზეთი ჰფიქრობს, „თუ ჯერ ისევ მე 60 წლების დასაწყისში უნივერსიტეტთა უმრავლესობა საჭიროდ სთვლიდა ქალების მიღებას უნივერსიტეტში ვაჟებთან ერთად, დღეს, ეჭვი არ არის, ამ აზრს უნივერსიტეტები ერთხმად მიიღებენ. საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმაც გადაჭრით გამოსთქვა მაშინ, რომ საჭიროა ქალებს უნივერსიტეტში შესვლის ნება მიეცეთო“. საჭიროა ეხლა მაინც, ორმოცის წლის შემდეგ, განხორციელდეს ეს საქმეო, ამბობს გაზეთი.

* *

იმავე „Россія“-ში დაბეჭდილია წერილი ქალაქისა და სოფლის თვით-მმართველობათა შესახებ. ავტორი სწერს, რომ დღევანდელი საქალაქო დებულება მფარველობას უწევს და ყოველგვარ უფლებას ანიჭებს მცხოვრებთა მხოლოდ ერთ ნაწილს—ბურჟუაზიას, იმას, ვისაც საკმაო ქონება მოეპოვება; ღარიბებსა და ხელმოკლეებს-კი არავითარი უფლება არა აქვთ ქალაქის საქმეებში მონაწილეობის მიღებისა; ამიტომაცაა, რომ თვით-მმართველობანი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ღარიბთა საჭიროებას, არა სცდილობენ მათ შორის სწავლა-განათლების გავრცელებას, საავადმყოფოების დაარსებას, ღარიბთა უბნების განკარგება-გამშვენებას და სხვასაო. ამიტომ ავტორი საჭიროდა სცნობს საქალაქო დებულების შე[illegible] ეს განსაკუთრებით იმ დიდ სოფლებისა და დაბებისათვის, სადაც თვით-მმართველობის შემოღებას განიზრახვენ. დღეს სასოფლო საქმეებს მთელი სოფელი განაგებს, ყველას შეუძლიან მონაწილეობის მიღება ამ საქმეებში. თვით-მმართველობის შემოღების შემდეგ-კი მცხოვრებთა უფლებანი იზღუდება: საზოგადო, საერთო საქმეებში მონაწილეობის მიღების უფლება მხოლოდ ერთს შეძლებულ ნაწილს ეძლევაო.

## რუსეთი

„აზნაურობის მაძიებელნი“ და ამ საქმის „ვექილნი“ რუსეთშიაც ყოფილან, მხოლოდ იქ აზნაურობის მაგიერ საპატიო მოქალაქის წოდებას ეძიებენ. ამას წინად მოსკოვში სასამართლოს ერთის ამ გვარის ვექილის—ბ-ნ პუსტინიკოვის საქმე განუხილავს. როგორც სასამართლოში გამოირკვეულა, მასწავლებლად ყოფილს პუსტინიკოვს მრავალ ვაჭრისათვის გამოურთმევია ფული და დაჰპირებია, საპატიო მოქალაქის წოდებას მოვანიჭებინებ მთავრობასაო. ამ ვაჟბატონს ყასაბის სიპირიაკოვისათვის 4000 მანეთი გამოურთმევია, ჩუკმალდინისთვის—1000 მან., თევზის ვაჭრის კოლჩანოვისათვის—800 მ., კუდრიავცევისთვის 1000 მან., სერგეევისთვის—4000 მანეთი და სხვა. სულ ამ გვარად პუსტინიკოვს 42,000 მანეთი შეუკრებია.

— როგორც მკითხველებმა უწყიან, გზათა სამინისტროს უკვე წარედგინა განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი, რომლითაც რკინის გზის ყველა მოსამსახურეს სახელმწიფო სამსახურის უფლება უნდა მიენიჭოს. ამ პროექტს ჯერ სამინისტრო განიხილავს და შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლად.

— ერთ გაზეთში აწერილია სამწუხარო ამბავი, რომელიც ნათლად მოწმობს, თუ რა ვნება მოაქვს ეგზამენებს: „ერთი გიმნაზიის მოსწავლე ვ., რომელიც 24 აპრილიდგან 6 ივნისამდის დასამთავრებელს ეგზამენს იჭერდა, 7 ივნისს გადარეული, შიშველი და ენა-მოკვნეტილი მიიყვანეს ადგილობრივ სულით-ავადმყოფთა სამკურნალოში. 2 ივნისს ამ მოსწავლეს ეგზამენების გამო გიმნაზიაში დილის 9 საათიდგან საღამოს 9 საათამდე მოუნდა ყოფნა და აბა რა საკვირველია, რომ ჭკუიდგან შეშლილიყო!“

— პეტერბურგში ხშირად მოდიან ღარიბი განათლებული ქალები, რომელთაც სურთ საპროფესიონალო ცოდნის შეძენა. ამ გვარ ქალებისათვის დედათა საპროფესიონალო განათლების ხელშემწყობი საზოგადოება აარსებს საერთო თავშესაფარს, სადაც ქალებს ხელ-მისაწდომ ფასად დაეთმობათ ბინა და მიეცემათ საჭმელ-სასმელი.

## უცხოეთი

**ინგლისი.** მდიდარის ვაჭრების და ბანკის პატრონების მიერ „Mansion House“-ში გამართულს მეჯლისზე

ხაზინის კანცლერს მიხეილ გიქს-ბიჩს შემდეგი შესანიშნავი იმედებით აღსავსე სიტყვა წარმოუთქვამს ინგლისის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ: „ამ ბოლოს წლებში ინგლისს დიძალი მხედრობის შენახვა დასჭირდა და ამ მხედრობის უზომოდ შორეულს მანძილზედ (თითქოს 6,000 მილის მანძილზედ) გზავნა. ერთსა და იმავე დროს იგი ჩინეთის ომშიაც იღებდა მონაწილეობასა და აფრიკის აღმოსავლეთ-დასავლეთ ნაწილშიაც, რომელსაც უნებლიედ გარდასახადების მომატება მოჰყვა შედეგათ. ეჭვი არ არის, გარდასახადების მომატება მხოლოდ ამ ომების შედეგი იყო და შეუძლებელია ოც-და-ათის წლის წინად მომხდარიყო. მაგრამ ასეთი სამხედრო ოპერაციები რომ სხვა რომელსამე ევროპიელს სახელმწიფოს დაეწყო და ასეთი ხარჯი მოსვლოდა, ან სრულიად გადატაკდებოდა, ან არა-და იქამდის გაუჭირდებოდა, რომ სულს ვეღარ მოიბრუნებდა. ინგლისს-კი ამ უზომოდ დიდმა ხარჯებმა ვერა დააკლო-რა, წარბი არ შეუხარია. ეს გარემოება მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ინგლისი, შედარებით სხვებთან, გაცილებით ძლიერია. ინგლისს ბრძოლისათვის ურ-ველგვარი საშუალებანი ხელთა აქვს და მხოლოდ იმის წყალობით, რომ ბრძნულს პოლიტიკას ადგია, რომელმაც გარდასახადების სიმძიმე ხალხს არად მიაჩნევინა და მისის ვაჭრობისა და მრეწველობის განკარგებასა და განვითარებას ვერა პირობებში ხელი შეუწყო.

ყოველს შემთხვევაში ახლაც შიში არაფრისა გვაქვს, თუ რომ ფლოტისათვის ახალს ხარჯს გავწევთ, რადგანაც შეძლება და ქონება ინგლისისა ჯერ-ჯერობით ულევლია, —უთქვამს გიქს-ბიჩს.

**ჩინეთი.** „Daily News“-ის კორრესპონდენტი ჩინელ რეფორმატორის სუნ-იათსენის შესახებ შემდეგს ამბავს მოგვითხრობს:

წარსულს წელს, სექტემბერში, სუნ-იათსენი კანტონში მივიდა და უნდოდა ამბოხება მოეხდინა, მაგრამ არ მოუხერხდა, რადგანაც მისს მოაზრეებს სურხათი შემოაკლდათ. სუნ-იათსენი ამას მაინც არ შეუშინდა და ექვსის დღის განმავლობაში ექვსი ბრძოლა მოიგო და ხუთი ქალაქი დაიპყრო. კორრესპონდენტს უკანასკნელად იგი იოკაგამაში უნახავს; აქ სუნ-იათსენი ერთის ფიქრითა ყოფილა მთლად გატაცებული, რომ ჩინეთი როგორმე „გაეიაპონელებინა“. სუნ-იათსენის აზრით, ვინც-კი ამის განხორციელებას შესძლებს, იგი შორეულ აღმოსავლეთისა და მთელის ქვეყნის წინაშე უთუოდ დაუვიწყარსა და უზომოდ დიდს სამსახურს წაიმძღვარებს. სუნ-იათსენი ამტკიცებს, რომ „ჩინელები იაპონელებზედ გაცილებით ჭკვიანები არიან და ჩინელების ჭკუა უმაღლესის ღირსებისაა“. ამასთანავე სუნ-იათსენი დარწმუნებულია, რომ ვიდრემდის დღევანდელი სამეფო დინასტია არ დაემხობა, იმ დრომდის ჩინეთის წინსვლას არა ეღირსება-რა, მისს ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ იქმნება შეტანილი. მართალია, ამ რამდენისამე წლის წინად იმპერატორმა ცვლილებათა შეტანა განიზრახა, მაგრამ ეს მისი ცდა უქმი და სრულიად ფუჭია, რადგანაც ამისათვის საკმაო ძალა არ შესწევს, ერთაც სუსტია. თუნდაც ძლიერი ზედგავლენა ქვრივის იმპერატრიცასი სრულიად განდევნილ იქმნას, იმ შემთხვევაშიც-კი იმპერატორს ხასიათი და სულიერი ძალა არ ეყოფა უთუოდ, რომ საჭირო ცვლილებანი მოახდინოს. ჩვეულებრივად, როდესაც-კი დესპოტი მეფე თვითმპყრობელი, ცვლილების მოხდენას განიზრახავს ხოლმე, იგი უთუოდ აჩქარებითა ჰმოქმედებს; ჩინეთის ახალგაზდა იმპერატორსაც სწორედ ასეთი შეცდომა მოუვიდათ. სუნ-იათსენის აზრით, ჩინეთში ისეთივე რესპუბლიკა უნდა იქმნას შემოღებული, როგორიც ამერიკის შეერთებულს შტატებსა აქვს; ასე რომ უცბად ორი კურდღლის დაჭერა უნდა: ჯერ ერთი ჩინეთი „გააიაპონიოს“ და მეორე, „გაამერიკოს“. სუნ-იათსენი უთუოდ ჩინეთის მომავალ შეერთებულ შტატების პრეზიდენტობას აპირებს, რომ ახლა ასე გულმოდგინედ თავისის თავის განვითარებასა და განსწავლას შეუდგაო, შენიშნავს კორრესპონდენტი.

— იაპონურის ჟურნალის „Toyo“-ს უკანასკნელს ნომერში ჩინეთის შესახებ ორი საყურადღებო წერილია დაბეჭდილი: პირველი მათგანი იაპონიის მტრების წინააღმდეგ არის მიმართული და იწვევს ინგლისელებსა და ამერიკელებს, რომ უფლებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში იაპონელებს მხარი დაუჭირონ და საფრანგეთსა, გერმანიასა და რუსეთს ჩინეთის საქმეში წინააღმდეგობა გაუწიონ: „საფრანგეთსა, გერმანიასა და რუსეთს არა სჯერით თავიანთი მოთხოვნილებანს შეაკვეცონ რამე და გარდაწყვეტილი აქვთ ჩინეთს „თითო კარგი ნაჭერი“ ჩაათალონ“. დასასრულ, აფრთხილებს „ამ სამს თამამს საზღაპრო გმირს“ იაპონელები მოთმინებიდგან არ გაიყვანონ.

ხოლო მეორე განმარტავს იმ აზრს, რომ ჩინეთში იმპერატორის უფლება უთუოდ დაცული იქმნეს და იმუქრება, რომ თუ რომელიმე სახელმწიფო გაჰბედავს და მოისურვებს ჩინეთს ჩამოაჭრას რამე, იაპონია ამის ნებას არ მისცემს.

---

**სერბიის დედოფლის ოცნებობით წარმოდგენილი ორსულობა** (grossesse neurveuse)

შესაძლოა მართლა დედა-კაცმა წარმოიდგინოს, ვითომ დაორსულდა, თითქმის ყველა ნიშნები ორსულობისა იგრძნოს. ამ გვარი შეცდომა შეიძლება მოუვიდეს არა მარტო პირველს მშობიარეს, არამედ იმასაც-კი, რომელსაც რამდენიმე შვილი უკვე უშობნია; განსაკუთრებით-კი იმათ ემართება ეს, რომლებსაც ძლიერ უნდათ შვილი ეყოლოთ.

ამ გვარს ოცნებით წარმოდგენილს ორსულობას ფრანგებმა დაარქვეს სახელად „grossesse neurveuse“. ოცნება იმდენად გაიტაცებს ხოლმე დედა-კაცს, რომ იგი ბავშვის მოძრაობასაც-კი ჰგრძნობს, გამოაჩნდება ხსენი, ბოლოს მუცელიც ასტკივდება და ლოგინში წვება, განთავისუფლებას ელის.

ამგვარი შეცდომა შეიძლება თვით მცოდნე მკურნალსაც მოუვიდეს; ამას, სხვათა შორის ჰმოწმობს Simpson-ის მიერ მოყვანილი ორი მაგალითი: ერთს ამ გვარ ოცნებით ორსულ დედა-კაცთან მიწვეულმა მკურნალმა მეორეს დაუძახა, რომ მისის შემწეობით ბავშვი ამოეჭრა, რადგანაც ორსული დიდხანს წვალობდა და ბავშვი არ იბადებოდა; ბოლოს, როდესაც ორივემ რამდენჯერმე გულმოდგინედ გასინჯეს დედა-კაცი, დარწმუნდნენ, რომ შემცდარნი იყვნენ, დედაკაცი ოცნებით ორსული იყო. მეორე მაგალითიდგან სჩანს, რომ ამ გვარს ორსულს მუცელიც-კი გაუჭრეს, რომ ბავშვი ამოეყვანათ.

აი, სწორედ ამ გვარი ორსულობა გამოაჩნდა სერბიის დედოფალს. 23 ივლისს 1900 წ. ახალგაზდა მეფემ სერბიისამ ალექსანდრემ დაიწერა ჯვარი თავისს ქვეშევრდომ ნაქვრივალს დრაგაზედ, რომელიც მეფეზედ გაცილებით ხნიერი უფრო იყო. პირველის ქმრის ხელში დრაგა უშვილო იყო.

მალე დედოფალი დაორსულდა და ამ წლის აპრილში დასაწოლი შეიქმნა. ამ ამბავს მთელი სერბიის ერი დიდის აღტაცებით მიეგება; მეფის სიხარულს ხომ საზღვარი აღარა ჰქონდა.

13 აპრილს (1901 წ.) მოსკოვიდგან გამოჩენილი პროფესსორი სნეგირევი და პროფ. გუბარევი გამოიწვიეს, რომლებმაც Dr. Collet თანადასწრებით გასინჯეს დედოფალი და გამოუცხადეს მეფეს, რომ დედოფალი დასაწოლი არ არის და მხოლოდ ოცნებით არის ორსული.

Dr. Collet-მა ამის შესახებ ფრანგულს სამკურნალო ჟურნალში *) დაბეჭდა ვრცელი წერილი, სადაც მოყვანილია პროფ. სნეგირევისა, გუბარევისა და Dr. Collet მიერ დედოფლის გასინჯვის შემდეგ შედგენილი ოქმი. როგორც ამ ოქმიდგანა სჩანს, დედოფალს შემდეგი ორსულობის ნიშნები ჰქონია: გაზრდია მუცელი, დაპსივებია ძუძუები და გამოსჩენია ხსენი; ჰქონია მუდმივი გულის რევა და ბავშვის მოძრაობაც-კი უგრძვნია. სულ ყველა ეს ნიშნები საკმარისი იყო, დედოფალი ორსულობაში დარწმუნებულიყოო. ჩვენთვის-კი ამ ნიშნებს სულ სხვა მნიშვნელობა აქვთ: ნიშნები გამოწვეულია მუცლის სიმსუქნითა და წელების დასუსტებით. აი, ამიტომ გაეზარდა მუცელი, დასუსტებისა გამო წელებში ქარი ჩაუდგა და წელების მოძრაობა ბავშვის მოძრაობათ მიიღო. წელების დასუსტებითვე უნდა აიხსნას გულის რევაო. მკურნალებმა დედოფალს მასსაჟი, მეტი მოძრაობა და ამ ზაფხულს კავკასიის წყლებზედ წასვლა ურჩიეს. ამ გვარი წამლობა ისეთს ცვლილებას მოახდენს, რომ შეიძლება დედოფალი მართლა ფეხ-მძიმედ შეიქმნესო.

ექიმი ბადრიძე

---

**დამაკვირდი**

უფრო მალე აანთებ ცეცხლს თოვლით, ვიდრე სიყვარულის ცეცხლს სიტყვით გააქრობ.

შექსპირი

***

საძაგელია იგი დედაკაცი, რომელსაც შვილები ჰყავს და მაინც სხვის მოწყენილი გარო.

ჟან-პოლი

***

ბევრმა არ იცის რა ბევრი ცოდნაა საჭირო, რომ ვიცოდეთ, —რა ცოტა ვიცით.

უნგენანტი

---

**დეპეშა**

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 ივნისი.

**ბერლინი.** „National Zeitung“-ის სიტყვით, საიმპერიო კანცლერს გუშინ პეტერბურგში მიმავალ რუსეთის ელჩთან ხანგრძლივი ბაასი ჰქონია.

**ლეიპციგი.** ლეიპციგის ბანკის საკანტროლო საბჭოს წევრმა კარლოს ფილიქს შეფფერმა და წევრმა ფირმის „ბერგერ-ფოგტისამ“ დღეს დილით თავი მოიკლა. ფირმამ განაცხადა, რომ შეფფერის სიკვდილი მას არაფრით არ შეეხება, რადგანაც გუშინ იგი უკვე კარგს ფასებში გაიყიდა.

**კონსტანტინეპოლი.** ბაქტეროლოგიურის გამოკვლევით შავის ჭირის ბაცილები აღმოაჩნდა აგრეთვე საეჭვოთ ავად გამხდარ მებულქის ქარგალს; მაშასადამე, აქ ამ ჟამად სულ ორი კაცია შავის ჭირით ავადმყოფი აღმოჩენილი.

**ბუენოს-აირესი.** პარლამენტის მიერ ექვსის თვით ომიანობის დროის წესები იქნა გამოცხადებული. პრეზიდენტის როკისა და პრეზიდენტათ ნამყოფის პელლგრინის წინააღმდეგ სამის დღის წინად სტუდენტებმა და ხალხის ბრბომ დემონსტრაცია მოახდინეს; პელლგრინი ქვით დასჭრეს.

**ლეიპციგი.** როგორც გუშინდელი გაზეთები იუწყებიან, თხლის გამხმობს კასსელის საზოგადოებას $14^1/_2$ მილიონი დაჰკლებია, რომელიც დირექციისა და საკანტროლო საბჭოს წევრებს თურმე აქვთ ვალად წაღებული. ამბობენ, წაღებულ ფულის გირაოთ დატოვებული ფასიანი ქაღალდები სადღაც გამქრალანო; როგორც სარწმუნოდ მიაჩნიათ, ეს ქაღალდები ლეიპციგის ბანკში უნდა იყოს დაგირავებული თხლის გამხმობ საზოგადოების ზედამხედველ საბჭოს სხვა-და-სხვა წევრთა სახელობაზედ.

**მარსელი.** აქ მოვიდა გემი „Mumo“ და ჩინეთიდგან დაბრუნებული პირველი რიგობა ჯარის-კაცებისა ჩამოიყვანა. გემის ბანზედ გამომდგარი ჯარის-კაცნი ზღვის პირად მდგომს ხალხს სალამს აძლევდნენ. ადმირალი ბესსონი ოფიცრებითურთ გემზედ ავიდა, რომ უკან დაბრუნებულს 1271 კაცს, რომელთაგანაც 120 ავადმყოფი იყო, მიჰსალმებოდა. ჯარის-კაცთა გემიდგან გადმოსხმა 8 საათზედ დაიწყეს. ჯარის-კაცნი ხალხმა აღტაცებულის ძახილით მიაცილა ყაზარმებში.

**ლონდონი.** გრაფმა კამპედაუნმა აუწყა ლორდთა პალატას, რომ 23 ივნისს მან პალატის ყურადღება მიაქცია კომისიის მოხსენებას, რომელსაც ტრანსვაალის მთავრობის მიერ გაცემულ რკინის გზის კონცესსიების გადასინჯვა ჰქონდა დავალებული; მიაქცია ყურადღება აგრეთვე იმას, რომ, კომისსიის სიტყვით, აღნიშნულს საზოგადოებას ჯერ ომის დაწყებამდევე უკისრნია ამ გეგმების შემუშავება, რომლებიც საზოგადოებას შემდგომ კიდევაც შეუსრულებია და რომლებსაც ინგლისის ოფიცრები დიდად უზარალებია. შემდეგ დაეკითხა გრაფი, თუ რა რიგადა აქვთ განზრახული ამ კერძო საზოგადოების ფულით დაჯარიმება ან სხვა რაიმე რიგად დასჯა ასეთის სამხედრო ოპერაციების გულისთვის და ან რომელსამე სახელმწიფოს აღნიშნულის საზოგადოებისა გამო წინააღმდეგობა ხომ არა გაუცხადებია-რა.

**პრეტორია.** როგორც კიტჩენერი იუწყება, პოლკოვნიკს გრენფელს 18 ივნისს, გოპბელთან, ბეიერის რაზმიდგან 93 ბური ტყვეთ წაუყვანია და 50 ურემი, ასი თოფი და დიდ-ძალი სამხედრო სამზადისი წაურთმევია. ერთი ბური მოკლულია. ინგლისელებს არავითარი ზარალი არ მოჰსვლიათ.

**პარიჟი.** პირდაპირი გარდასახადების შესახებ წარდგენილი პროექტი პალატამ დილის სხდომაზედ მიიღო.

**ლონდონი.** კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან, რომ ვაბოისპრუიტიდგან ხუთის მილის მანძილზედ, ჩრდილოეთით გუშინ პიტერსბურგიდგან მიმავალი მატარებელი აუფეთქებიათ ბურებსა. ერთი ოფიცერი, 11 ჯარის-კაცი, მატარებლის მემანქანე, ცეცხლის შემკეთებელი, კონდუქტორი და ოთხი ადგილობრივი მცხოვრები მოკლულ იქმნენ. ჩრდილო ლიანდაგზედ ეს პირველი მაგალითიაო აფეთქებისა.

**უფა.** მოსავალს ფერი ეცვალა; განსაკუთრებით ბალახები წახდა; ახალ-თესლებიდგან ნახევარს ვერ მოიმკიან, ხოლო შემოდგომის ნათესებიდგან საშუალო მოსავლის სამს მეოთხედზედ მეტს ვერა.

**ეკატერინოსლავი.** საკომერციო ბანკი გუშინდლიდგან დახურულია; ბანკის შესავალ კარებზედ განცხადებაა გამოკიდული, რომ ხარკოვის სავაჭრო ბანკის გაკოტრებისა და იმ ზარალისა გამო, რომელიც 12 ივნისის ცეცხლს მოჰყვა, კასსა შეთხელებულია, ფულის ახლად შემოკრებამდე ბანკის მოქმედება შეწყვეტილია. ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმაა. ფულის შემტანნი დახურულ ბანკის კარებს შესტრიალებენ.

**რიგა.** 700 წლის იუბილეს შესრულებისა გამო მას შემდეგ, რაც 1201 წ. ქ. რიგა იქმნა დაარსებული, დღეს მართლ-მადიდებელთა საკრებულო ტაძარსა და ლიუტერანთა ეკკლესიებში ღვთის მსახურება იქმნა დიდის დღესასწაულობით გარდახდილი.

**პეტერბურგი.** „კანონთა კრებულში“ გამოქვეყნებულია, რომ თამბაქოზედ გაწერილ აქციზის აღების სისტემა შეცვლილია.

**რიბინსკი.** შინაგან საქმეთა მინისტრი საგანგებო მატარებლით ჩამოვიდა და საღამოთი ქ. რომანოვში წავიდა (იაროსლავის გუბერნიაში).

23 ივნისი.

**პეტერბურგი.** მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის დიდის მთავრინა ანასტასია ნიკოლოოზის ასულის დაბადებისა გამო მათის უმაღლესობის სახელობაზედა და აგრეთვე საიმპერატორო სახლობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში სხვა-და-სხვა წოდებათა, დაწესებულებათა და საზოგადოებათაგან მრავალი უქვეშევრდომილესი მილოცვანი მოვიდა, მოიხსენა რა ეს, ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად ინება იმპერიის ყველა წოდებათ-დაწესებულებათ და საზოგადოებას მილოცვისათვის მადლობა გამოეცხადოთ.

გერმანიის საიმპერიო კანონით მუშათა დაზღვევის შესახებ დადგენილი იყო, რომ ერთხნობით მოსულს რუსის მუშებსაც უთუოდ გაეღოთ ხოლმე დასაზღვევი ფული, თუმცა იგინი დროებით გადმოდიოდნენ გერმანიაში, რომ სასოფლო

*) „La Semaine Médicale“ № 22.

მეურნეობაში ცოტა რამ წაემუშავნათ, ამისა გამო გერმანიის საკავშირო საბჭომ 7 მარტს ამა წლისას შემდეგის შინაარსის დადგენილება გამოაქვეყნა: „ავსტრიისა და რუსეთის ქვეშევრდომი პოლონელი მუშები, რომლებსაც ნება ეძლევათ დანიშნულ ვადამდე გერმანიაში დაჰყონ და შემდეგ ისევ საზღვარ-გარეთ მიიქცნენ, კანონით ვალდებულნი არ არიან თავი უთუოდ დაიზღვევონ, თუ-კი რომ იგინი სასოფლო მეურნეობასა, სატყეო, ან სხვა რამ მათ მონაგვარს მრეწველობაში მუშაობენო".

შეჭდვითის საქმის მთავარ სამართველოს უფროსი თავ. შახოვსკოი 26 ივნისს გავა პეტერბურგიდგან, რომ ქალაქ იაროსლავლისა, ნიჟნი-ნოვგოროდისა, ყაზანისა, სამარისა, სარატოვისა, ცარიცინისა და დონის როსტოვის ადგილობრივი საცენზურო დაწესებულებანი პირ-და-პირ გაიცნოს.

„მთავრობის უწყებაში" დაბეჭდილია: „საშუალო სკოლის წყობილებაში ცვლილებათა მოსახდენად ამა წლის მაისში უმაღლესის სურვილისა თანახმად საერო განათლების მინისტრის გენერალ-ადიუტანტის ვანოვსკის თავმჯდომარეობითა და იმავე სამინისტროსთან განსაკუთრებული კომისსია შესდგა. თავისი მოღვაწეობა კომისიამ 28 მაისს დაიწყო და ამ ჟამად უკვე შეიმუშავა ძირითადი დებულებანი საზოგადო განათლების ახალის საშუალო სკოლისა, შეადგინა ცხრილი გაკვეთილებისა და კონსპექტი სასწავლო გეგმისა და ამასთანავე განხილა ის, თუ არსებულს ვაჟთა გიმნაზიებსა, პროგიმნაზიებსა და რეალურს სასწავლებლებში სასწავლებლად ახალი გეგმა რა წესით უნდა იქმნეს შემოღებული. გარდა ამისა, სწავლის საქმის სარგებლობის გულისათვის საშუალო სკოლის წყობილებაში რომ საჭირო ცვლილებანი ადრევე და მალე მოხდეს, კომისსიამ დაწვრილებითი გეგმა შეიმუშავა, რომლითაც ვაჟთა საშუალო სასწავლებლების სრული ცვლილებანი 1905 წ. უკვე უნდა დასრულდეს. კომისიის აზრისა თანახმად, საზოგადო განათლების მთავრობის საშუალო სკოლა უნდა იყოს ერთიანი, ყველა სასწავლებლისათვის 1 ტიპისა, 7 წლის კურსით, რომლიდგანაც ბერძნულის ენის პროგრამმა განდევნილი იქნება და ლათინური დატოვებულ იქმნება მხოლოდ ოთხს უმაღლესს კლასში; მსურველთ შეუძლიანთ ამ ენის ნაცვლად ბუნების-მეტყველების დამატებითი კურსი და სახაზავი ხელოვნებანი შეისწავლონ. გაუქმებულის ბერძნულის ენისა და ლათინურის ენის შემცირებულ პროგრამმისა ნაცვლად საზოგადო ტიპის საშუალო სკოლაში შემოღებულ იქმნებიან: საბუნების-მეტყველო მეცნიერებანი, საჯულო მეცნიერება, ორივე ახალი ენა, მამულის შესწავლა და გაძლიერებულ იქმნება სწავლება რუსეთისა და საზოგადო ლიტერატურისა, ისტორიისა და მათემატიკისა. წესი და რიგი, რომლითაც უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლესს სასწავლებლებში იქმნებიან მიღებულნი საშუალო სასწავლებელში ლათინურის ენითა და უამისოდ სწავლა-დამთავრებულნი, ძირითადს დებულებაშია მოხსენებული.

ამავე დებულებაშია მოხსენებული 1) წესი, რომლითაც შეიძლება ქალაქებისა, ერობათა, საზოგადოებათა, წოდებათა და კერძო კაცთა საზოგადო ტიპის სკოლებისათვის იხელმძღვანელონ და 2) შემუშავებულია საშუალო კლასსიკურ სკოლის გეგმა, რომელშიაც ბერძნულისა და ლათინურის ენის შესწავლა სავალდებულო იქმნება; კომისსიის აზრით, ასეთი სკოლები ყველა საუნივერსიტეტო ქალაქსა და ქალაქ ვილნაში უნდა იქმნეს დატოვებული. კომისიის შრომის ნაყოფი შემდეგ განსახილველად მისს იმპერატორებით უდიდებულესობას წარედგინა, რომელმაც კეთილ ინება და მოიწონა კომისიის მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ საჭიროა უმთავრესი ყურადღება მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას მიექცეს, მიეჩვიენ სასკოლო წეს-რიგს, გაძლიერდეს სწავლება გიმნასტიკისა, სამხედრო და საფიზიკო ვარჯიშობათა, შემოღებულ იქმნენ ეგრედ წოდებულნი მმოძრავნი თამაშობანი, სასკოლო ექსკურსიები, სეირნობანი და, სადაც-კი ეს შესაძლებელი იქმნება, ხელზედ მუშაობაც.

გარდა ამისა, ხელმწიფე იმპერატორმა მოიწონა წინადადება გენერალ-ადიუტანტის ვანოვსკისა, რომ ზემოდ მოხსენებული კლასიკური გიმნაზიები დატოვებულ იქმნენ: პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიევსა, ვარშავასა და იურევში. შემდგომ ამისა, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის სურვილისა თანახმად, კომისსიის ზემოდ აღნიშნული განზრახვანი და წინადადებანი განსახილველად სამოსწავლო ოლქების სამზრუნველო საბჭოებსა, ზოგიერთა საშუალო სასწავლებლების საპედაგოგო საბჭოებსა და თავისის აზრის გამოსათქმელად უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორსს, ს.-პეტერბურგისა და ლადოჟის მიტროპოლი სა და მინისტრებს გადაეცემათ, რომელთა უწყებაშიაც სასწავლებელია. ყველა ამ კაცთა და დაწესებულებათა აზრს შემდეგ ზამთრის განმავლობაში საერო განათლების სამინისტრო განიხილავს და საქმეს ისეთს გზასა და მიმართულებას მისცემს, როგორიც კომისიის-მიერ შემუშავებულს გეგმაშია ნაჩვენები. განზრახული ცვლილება საშუალო სასწავლებლებში დაბალი კლასებიდგან უნდა დაიწყოს. სწავლებაში ცვლილება პირველად ძველს ენებს უნდა შეეხოს, რომელთაგანაც ბერძნული სრულიად განდევნილი იქმნება, როგორც სავალდებულო ენა, ხოლო ლათინურის ენის დღევანდელი პროგრამმა (43 საათიანი) შემცირებულ იქმნება, რომ თავისუფალი დრო ზოგიერთა სხვა საგნების შესწავლას მოეხმაროს. მოსწავლეთა და სასწავლებლებში ახლად შემსვლელთა სარგებლობის გულისთვისვე რომ არსებული სამოსწავლო წყობილობა უცბად არ იქმნეს შეცვლილი და ამით საპედაგოგო ნაწილიც არ დაბრკოლდეს, კომისსიამ დიდათ სასურველად და სასარგებლოდა სცნო ზოგიერთა ღონისძიებანი მომავალის ცვლილებისათვის ამ 1901—1902 სამოსწავლო წელსვე მიიღოს, სახელდობრ: განზრახულია გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ლათინურის ენის სწავლება პირველსა და მეორე კლასში და ბერძნულისა მე-3 და მე-4 კლასში ახლავე მოისპოს და ამის მაგივრად გააძლიერონ რუსულისა და გეოგრაფიის სწავლება და 1-ლს კლასშივე დაიწყონ სწავლება ისტორიისა და ერთის ახალი ენისა, ხოლო, სადაც ადგილობრივის პირობებით შესაძლებელი იქმნება, პირველი კლასიდგანვე შემოიღონ სწავლება აგრეთვე ბუნების-მეტყველებისა. კომისსიის მოსაზრებათა უქვეშევრდომილესად მოხსენების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ივნისის 11 და 18 ჰბძანა: „როგორც დროებითი საშუალება, საერო განათლების სამინისტროს არსებულს ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში მომავალ 1901—1902 სამოსწავლო წლიდგან პირველს ორს კლასში ლათინურისა, ხოლო მე-3 და მე-4 კლასში ბერძნულის ენის სწავლება მოსპობილ იქმნეს და მათ მაგიერ გააძლიერონ სწავლება რუსულისა, გეოგრაფიისა, შემოიღონ სწავლება ისტორიისა და ერთის ახალი ენისა, ხოლო, სადაც ადგილობრივის პირობებით ეს შესაძლებელი იქმნება, პირველი კლასიდგანვე შემოიღონ აგრეთვე სწავლება ბუნების-მეტყველებისა. რაც შეეხება რეალურს სავწავლებელს, შეცვლილ იქმნეს განაწილება გაკვეთილებისა პირველს ორს კლასში; შესაფერი ცვლილება უნდა მოხდეს გაკვეთილების განაწილებაში 1901—1902 სამოსწავლო წლისათვის აგრეთვე იმ გიმნაზიებში, რომლებშიაც განზრახვა აქვთ ორივე ძველი ენა დასტოვონ. ამასთანავე მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება და საერო განათლების მინისტრის უქვეშევრდომილესს მოხსენებაზედ 11 ივნისს საკუთარის ხელით დასწერა: „იმედია, დიდი ყურადღება მიექცევა აგრეთვე ჩვენის ახალგაზრდობის სარწმუნოებრივსა და ზნეობრივს აღზრდას".

**ტიუმენი**. ჩრდილოში 34 გრადუსი სიცხეა. ბალახისა და პურის მოსავალი ცუდია.

**ასტრახანი**. სოფ. ვიაზოვკაში გუშინ 280 კომლი გადიწვა.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

გერმანიაში ხმარებაშია ერთ გვარი ღია ბარათები, მშვენიერის სურათებით შემკული. ერთ ქალს ისე შეჰყვარებია ეს ბარათები, რომ რამდენიმე წელიწადი უკრებია და ბოლოს იმდენი შეუქურებია, რომ თავის ოთახში „შპალიერის" მაგიერ გაუკრავს. ამის გამო ერთი ინგლისური ჟურნალი სწერს, რომ ამ ქვეყნად ახალი არაფერიაო, და მოჰყავს ერთის ნიო-იორკელის ამბავი, რომელსაც თავის ოთახის კედლებზედ ბანკის ბილეთები გაუკრავს. სულ ამ საქმისათვის ნიო-იორკელს 5,000 მანეთის ბილეთი მოუნდომებია. ბოსტონში ერთ ბანკირს თავის ოთახის კედლებზედ ჩეკები გაუკრავს; ამ ჩეკებით ფული ჯერ არა ჰქონია მიღებული. ბანკირს ამ ოთახისათვის უცნაური სახელი დაურქმევია: „ჩემი სისულელეო". ცნობილ მომღერალ ქალს ქრისტინე ნილსონს მადრიდში საწოლ ოთახში „შპალერის" მაგიერ ნოტის ფურცლები გაუკრავს. ნოტები იმ ოპერების ა იყო, რომლებსაც ეს მომღერალი თეატრებში ასრულებდა ხოლმე, ხოლო სასადილო ოთახის კედლებზედ იმ სასტუმროების ანგარიშები გაუკრავს, სადაც-კი მომღერალი ოდესმე ჩამომხტარა. მომღერალს მარკს გაზეთებიდგან ამოუჭრია ის რეცენზიები, სადაც იმის ცოლს, აგრეთვე მომღერალ-ქალს, აქებდნენ და ერთის ოთახის კედლებზედ გაუკრავს.

ნეუ-იორკის ერთ კლუბში ოთახია, რომლის კედლებიც თეატრის ბილეთებითაა აჭრელებული, ხოლო მეორე ოთახი ბანქოს ქაღალდებით, სულ 6000 ქაღალდია გაკრული. ვენაში ერთი საზოგადოებაა. ამ საზოგადოების დარბაზის კედლებზედ გაკრულია რკინის გზის ბილეთები. ერთ ამერიკელ ქალს ოთახის კედლები შპალერის მაგიერ სადარბაზო ბარათებითა აქვს შემკული, მეორე ხნიერ გასათხოვარ ქალს, რომელსაც დანიშნული ჯვარის წერის წინა დღეს მოჰკვდომია, განსვენებულ საქმროს სურათებით. ჩიკაგოში ერთ მდიდარს მანდილოსანს თავის ოთახის კედლებზედ ყველგან ის წერილები გაუკრავს, რომლებიც სხვა და სხვა დროს სატრფოთაგან მიუღია ასე რომ სტუმრები მთელ რომანებს კითხულობენ კედლებზედ. ასევე მოქცეულა მეორე მანდილოსანი: ოთახის ერთი კედელი სავსეა თურმე წერილებით, რომლებშიაც სიყვარულს უცხადებდნენ და ცოლობას სთხოვდნენ.

* * *

გაზეთები დაწვრილებით ამბავს გადმოგვცემენ იმ უბედურების შესახებ, რომელიც ერთ სამეცნიერო ექსპედიციას შეემთხვა თურმე წმ. მათეს კუნძულზედ. ექსპედიციის მეთაური ყოფილა ვინმე მენკე, მდიდარი კაცი და საკუთარის გემის პეტრონი. მენკეს განუზრახავს სამის წლის განმავლობაში გამოკვლევა დიდ ოკეანეს სამხრეთ ნაწილში მდებარე დღემდე თითქმის უცნობ კუნძულებისა. ამ აზრით მიუწვევია სპეციალისტები, მათ შორის ცნობილი ორნიტოლოგი გეინროტი და სხვანი, აგრეთვე 40 კაცი (სადარაჯოდ) და თავისს გემით გასდგომია გზას. ამა წლის მარტს გემი წმ. მათეს კუნძულთან მისულა. გამოკვლევანი ამ კუნძულიდგან უნდა დაეწყოთ. კარგა ხანია ამ კუნძულს ევროპიელნი და ამერიკელნი იცნობენ; იქ მეტად ველური ხალხი სცხოვრობს, არა ერთხელ მოუკლავთ კუნძულელებს და შეუჭამიათ ევროპიელი ვაჭრები. ექსპედიციის საქმე პირველ ხანს კარგად მიდიოდა. კუნძულელებს არავითარი მტრობა არ გაუწევიათ, როდესაც ექსპედიციის წევრთ ნაპირზედ პატარა ბანაკი გაუმართავთ. კუნძულელნი მიდიოდნენ თურმე, თან სურსათი მიჰქონდათ და სხვა-და-სხვა ნივთებზედ უცვლიდნენ. „ერთ დღეს, დილით ადრე,—მოგვითხრობს გეინროტი,—ბანაკიდგან ცოტა შორს წაველი. კარავში დარჩნენ მენკე, იმისი მდივანი კარო და ერთი მოსამსახურე. დარაჯები ცოტა მოშორებით იარაღსა სწმენდნენ, რისთვისაც თოფები დაეშალათ. უეცრად მოისმა ყვირილი „ველურნი, ველურნიო!" და არ გასულა ორი თუ სამი წუთი, რომ 50—60 კუნძულელი კარავში შევარდა. ველურებმა მოჰკლეს მენკე, კარო და იმათთან მყოფი მოსამსახურე. სწორედ ამ დროს ვბრუნდებოდი ბანაკში. რამწამს კარავს მიუახლოვდი, ყველაფერი გავიგე, ამიტომ ხელად ამოვიღე ჯიბიდგან რევოლვერი, ორჯელ გავისროლე და ორი კაცი იქვე დავაწვინე; მაგრამ ამ დროს თვით მე დამკრეს და რევოლვერი დამაგდებინეს. მხოლოდ ამ დროს მოვარდა დარაჯი და უკუ აქცია ველურნი". კაროს და სხვა მოკლულთა გვამები ველურთ თან წაუღიათ, უთუოდ შესაჭმელად. მიზეზი ასე უეცრად თავ-დასხმისა დღესაც ვერ გაუგიათ. ცნობილ მოგზაურს ბრაუნს უთქვამს ერთის გაზეთის თანამშრომლისათვის, რომ ველურთა გაჯავრების მიზეზი ერთგვარ ხეების მოჭრა იქმნებოდა, რომლის ნაყოფითაც მცხოვრებნი იკვებებიანო.

---

## შემოწირულება

თავ. რაფიელ ერისთავის ფონდის გასაძლიერებლად რედაქციამ მიიღო 174 მანეთი, ბაქოში შეგროვილი. შემომწირველთა სია: ამირეჯიბი გ. ი. 5 მან., ბრაილოვსკი პ. ვ. 5 მან., გრიგორაშვილი დ. დ. 3 მან., დადიანი ი. ი. 25 მ., ელიაშვილი ი. ს. 5 მ., ემელიანოვი ა. პ. 4 მან., ზუბალაშვილი ს. კ. 50 მ., თურქია ი. მ. 3 მან., იოსელიანი ნ. ზ. 3 მან., იოსელიანი გ. ნ. 3 მან., კვალიაშვილი გ. 3 მან., ლოლუა მ. გ. 5 მან., ლორთქიფანიძე შ. ვ. 5 მან., ლორთქიფანიძე ი. ტ. 5 მან., ლორთქიფანიძე კ. ტ. 5 მან., ლიაძე ი. მდვდ. 3 მან., მამულაიშვილი ლ. ქ. 10 მ., მანსვეტოვი ი. ა. 5 მან., მიქელაძე ა. პ. 5 მან., მელიქიშვილი ნ. მ. 5 მ., მეფისაშვილი ს. ი. 3 მან., ნხატარაიშვილი მ. რ. 5 მან., ჩიქოვანი ს. 3 მან., ჯაში გ. მ. 4 მან., ჭინჭარაძე მ. დ. 3 მან. სულ 174 მან.

---


## განცხადებანი

**ქუთაისში**

ახალი სასტუმრო ბულვარის გვერდით, ანდრონიკაშვილის სახლებში

**„ბელვიუ".**

დასავლეთით სასტუმრო დაჰყურებს ქალაქის ბაღს, სამხრეთით სობოროს მიდამოს და მოჩანს უხიმერონის მთა თავისის ისტორიულის ნანგრევებით. სასტუმრო მშვენივრად არის მორთული. სამაგალითო სამზარეულო აქვს და ზრდილობიანი მოსამსახურენი ჰყავს. მოქმედება დაიწყებს 1901 წლის 1 ივლისს. (3—6.—1)

---

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 28 ივნისს, დღის 1 საათზედ, 63 სადამფასებლო პლანშეტის ლიტოგრაფიულის საშუალებით მოსამზადებლად, სულ 1475 მ. ღირებულობისა, **საჯარო ვაჭრობაა დანიშნული**.

მსურველთ შეუძლიანთ პირობები ამის შესახებ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ინახულონ ხოლმე დილის 9-დგან ნაშუადღევის ორ საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (3—6.—1)

---

# იმლმპა

ქირით ხუთი ოთახი.

ნიკოლოოზის ქუჩა, № 21, სახლი ე. გ. საგინაშვილისა.

---

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნებართვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**,,კვერცხის რძე"**

სახის გასაპაზებლათ და გასათეთრებლათ. ,,კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დაძწვარს კანს, სპობ მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია**: დიდი ქილა—2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—54)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го Іюня 1901 г. სტამბა ქ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე